ცნობის ფურცელი

№ 2115 პარასკევი, 4 აპრილი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2115

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში განქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის“ შემდეგი 2116 №-რი გამოვა კვირას, 6 აპრილს.

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალიზენ

რუჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო,** მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—73)

გაზ. „ცნობის ფურცელი“ ყველა ტფილისელ გაზეთის-გამყიდველებთან ღირს ცალკე ნომერი **3** კაპ. და სურათებიანი დამატებით-კი **5** კაპ.

გაზეთები იყიდება აგრეთვე **ქუთაისში** ვ. ბექანიშვილის და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგ. წიგნების მაღაზიებში.

წარმოდგენა 46—8. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ორშაბათს, 7 აპრილს, 1903 წ.

✦ იაფ-ფასიანი წარმოდგენა ✦

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

✡ **დაკლებულის ფასებით** ✡

I

ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქ. და 7 სურათად დენიერისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მ დან 8 მ-მდე, პარტერი 40 კ-დან 2 მ-მდე, ამფითეატრი 50 კ დან 1 მ მდე, გალერეა 20 კ-დან 35-მდე. შეგირდებისათვის ადგილები—40 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.

მზადდება წარმოსადგენად „ოტელო“, „მურად ფაშა“, „პარიზის ღარიბ ღატაკნი“ და სხვ. რეჟისორი **ვ. გუნია.**

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წევრთა

წლიური კრება

დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს დილის 10 საათზე, ს. კუხში.

განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა,

2) სარევიზიო კომისიის მოხსენება,

3) შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა,

4) გამგეობის მოხსენება მომავალ წლის ოპერაციის შესახებ,

5) სესხის აღების ნება რთვა,

6) დამტკიცება მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა და

7) არჩევა გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრებისა.

ამხანაგობის გამგეობა: თავმჯდომარე ბ. მდივანი. წევრი ერ. გიწმარაშვილი. გამგე ნ. წერეთელი.

(ნ. 5—2)

ე ქ ი მ ი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხისთან. **ტელეფონი 642**

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

სახალხო სეირნობა

საქველმოქმედო ბაზრითურთ.

შემოწირულებათა გამოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, (ნიკოლოოზის ქუჩა, № 21) ან ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში (სასახლისქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა). (0—8)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „ქარ. შორის წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული

რუსულ-ქართული

ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან. და 40 კაპ.

წიგნის გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც (наложен. платеж.) ამ ადრესით: Тифлисъ, Общество распространенія грамотности. (3—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. ქამოევი.—საშარდე (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათი 11½—12½.

ლ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. ვ. ჩანხვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ბ. ვ. ამბარდანოვი—ვენერიულისა, კანისა და საშარდეს 1—2 საათამდე.

ერ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ტ. ბ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.).

მუდმივი ექიმი **ვ. დ. ნახარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. ვიზიტები—სამ მანათიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვანიშვილისა, №-21. (აზოვის ქუჩის დასაწყისში.) **ტელეფონი № 274** (წ.

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოობით 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

საოცარი გაუგებრობა

ბევრ უკუღმართ აზრს და შეხედულებას წააწყდება ქართულ მწერლობის თვალყურის მდევნელი, მაგრამ „კვალი“-ს უკანასკნელ მეთაურისებური იშვიათად შეგვხვედრია.

ყველას თანდაყოლილი უფლებაა წაკითხული ვერ გაიგოს, მაგრამ ბოროტად მოხმარება ამ თანდაყოლილ უფლებისა მეტის მეტია. ბ. ყვირილელიც სწორედ ბოროტად ხმარობს მისდამი ღვთისაგან მინიჭებულ თუ კეთილ-შენაძენ უფლებას.

ავტორი ეხება მეტად საინტერესო და დიდ-მნიშვნელოვან კითხვას—როგორ ესმოდა და ესმის ჩვენ ძველ თაობას მამულიშვილობა. ალექსანდრე ჭავჭავაძე ვარდ-ბულბულებს დამღერს, ღვინოს შეტრფის, ერთის სიტყვით, მეტად კმაყოფილია თავისა და თავის ქვეყნის ხვედრით. საიდან არის, რომ პოეტს ასეთი ოპტიმისტური შეხედულება და კილო აქვს? ყვირილელის პასუხი მეტად მარტივია: თავად-აზნაურობამ გარეშე მტრის ძალს რომ ვერ გაუძლო, მტრის მოსაგერებელი მახვილი რუსეთს გადასცა; სამაგიეროდ იგი ჰფიქრობდა თავის „სოციალურ პირველობის“ შერჩენას, რომ წინანდელზე უფრო მისცემოდა განცხრომით ცხოვრებას. აი, ეს პირობები და ეს იმედია მიზეზი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ასეთი „ოპტიმისტია“.

სულ სხვაა სამოციან წლების მოღვაწეთა მდგომარეობა: თავად-აზნაურობას ყმები ჩამოართვეს, იგი ვერ აჰყვა ცხოვრების განვითარება-გართულებას და დაკნინდა; „ცხოვრების შეუჩერებელი წინსვლა მისი შეუჩერებელი უკან-დახევაა; და აი, აქ იწყება ამ ჯგუფის მოთქმა და გოდება. ეს მწარე კვნესა დღემდის გაისმის ჩვენ ქვეყანაში... აი, აქედან მოევლინათ უბედურება ჩვენ „მამებს“...

ნიმუშად „მამების“ ასეთ პოეზიისა გონებამახვილ ავტორს მოჰყავს აკაკის ლექსი ალ. ჭავჭავაძის საფლავზე: „ტკბილო პოეტო, ნათლისა სვეტო, შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული... თორემ სხვა გვარად, მწარედ და მარად ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას... და შენც ჩვენსავით, სიტყვებით ავით გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას... ეს არს სანატრო უკუღმართი დრო სიცოცხლითვე გვკლავს, გვედება ბნელი, არცა გვაქვს ძალი და არც წამალი, სად არის მხსნელი, რომ მოგვცეს ხელი?“.

მგოსნის გოდების და კვნესის ერთად-ერთი სარჩული თავად-აზნაურობის წოდების დაკნინებაა და სხვა არაფერი. „ამ ნაირ ნიადაგზეა აღმოცენილი(?) ჩვენი „მამულიშვილობა“; ის რეაქციით არის გაჟღენთილი და რეაქციას ასულდგმულებს“.

რომ ეს ასეა, რომ ძველ თაობის მთელი მამულიშვილობა მხოლოდ თავად-აზნაურობის ძველ დიდების ტირილია, ავტორი იმით ამტკიცებს, რომ თვითონ ქართველ ხალხს სატირელი და საგოდებელი არაფერი ჰქონდა. „ყოველ-უფლებას მოკლებული, ფეოდალურ უფლებით წელ-გატეხილ უმრავლესობას ყმის ბორკილებს გარდა არა დაუკარგავს-რა; მაშასადამე მისთვის წარსული უფრო ბნელი იყო, ვიდრე დღევანდელი დრო არის“.

ქართველთა ცხოვრება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იმდენად შეუსწავლელია, რომ მაშინდელ მოღვაწეობის საბოლოო, კატეგორიულის გადაწყვეტით დაფასება ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია. ამიტომ აქ არას ვიტყვით ბ. ყვირილელის გადაჭრილ აზრზე ალ. ჭავჭავაძის პოეზიის შესახებ.

რაც შეეხება ჩვენ ეხლანდელ „მამებს“ (მესამოცე წლების მოღვაწეთ—ილიას, აკაკის, ნიკოლაძეს და სხვებს), ერთის თქმა თამამად შეიძლება—იმ თავითვე შეურიგებელი მტრები იყვნენ ბატონყმობისა და თავად-აზნაურობის უპირატესობრივ მდგომარეობისა. ამას, მგონი, ციტატებით დამტკიცება არ სჭირდება. ბ. ყვირილელი-კი და მასთან ეხლანდელი „კვალი“-ც (წერილს რედაქციის შენიშვნა არა აქვს) უკიჟინებს ჩვენს მგოსანს, რომ თუ სამშობლოს ეხლანდელ მდგომარეობას სტირი, სტირი იმიტომ, რომ ყმები ჩამოგართვეს და მამულები გეცლება ხელიდანაო. ამაზედ შორს უვიცობა (მეტს არ ვიტყვით) და მამათა ღვაწლის არ დაფასება ვერ წავა!

„მამების“ რომანტიკოსობას ჩვენ არ უარვყოფთ. ჩვენ რედაქციას არა ერთხელ გაულაშქრნია ჩვენ ძველ მოღვაწეთა წინააღმდეგ იმის გამო, რომ მათ მამულიშვილობას აკლია შემუშავებული რეალური პროგრამა მოქმედებისა ხალხის სასამსახუროდ და მამულიშვილურ მისწრაფებათა განსახორციელებლად. მაგრამ სულ სხვაა „რომანტიკოსობა“ და სულ სხვაა ის ბრალი, რომელსაც ყვირილელი და „კვალი“-ს რედაქცია სდებს მთელ თაობას.

გესმისთ-კი რას ამბობთ, ბატონო ყვირილელო? ან რედაქცია რას ჰფიქრობდა, რომ ასეთ წერილს მეთაურად სტამბავდა და თავის მხრივ არავითარ შენიშვნას არ უკეთებდა?

ასეთ უკუღმართ შეხედულებას პირველად შევხვდით ქართულ მწერლობაში გიორგი მუხრანსკის ცნობილ წიგნაკის შემდეგ, მაგრამ ეს ხომ რუსულად იყო დაბეჭდილი.

ბ. ყვირილელის წერილს სიამოვნებით გადაბეჭდავს გრინგმუნტი და პალმი, თუ რუსულად გადმოუთარგმნიან. მგონი ესეც უნდა კმაროდეს ბ. ყვირილელისა და „კვალი“-ს რედაქციისათვის!

საზღვარ-გარედ

საფრანგეთი. თითქმის მთელი სხდომა მოუნდა ჟორესის სიტყვის მეორე ნახევარს. პალატის დარბაზს აურებელი ხალხი მოაწყდა და ტევა არ იყო.

ჟორესმა ისევ გენერალ პელიეს წერილიდან დაიწყო:

„ჩემ გუშინდელ სიტყვის შემდეგ ჩემი მოწინააღმდეგენი იმის მტკიცებას შეუდგნენ, ვითომ არაფერი ახალი არ მეთქვას, ვითომც გენერალ პელიეს წერილი წინადაც იყო ცნობილი. მაგრამ ეს სულ ტყუილია—პელიეს წერილის ტექსტი არასოდეს არ ყოფილა გამოქვეყნებული. ეხლა მე შევეხები ვითომდა ვილჰელმ მეორეს წერილს. როცა ჰანრის ყალბისმქნელობა დამტკიცდა, დრეიფუსის საქმის განახლების წინააღმდეგთ ორი გზა დარჩათ: ან უნდა გამოტეხილიყვნენ, რომ მთელი მათი რწმენა სიყალბეზე იყო დამყარებული, ან და უნდა დაეწყოთ მტკიცება, რომ ჰანრიმ შეადგინა ყალბი დოკუმენტი, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ საჭირო აღარ ყოფილიყო მეორე, ნამდვილ, დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან ასეთი გარემოება დიდ საფრთხეში ჩააგდებდა ქვეყანას. არჩიეს მეორე გზა და გაავრცელეს ხმა, ვითომც არსებობს ვილჰელმ მეორეს წერილი, რომელიც ამტკიცებს დრეიფუსის დანაშაულს. „ლიბრ პაროლ“-ში, „პტი-ჟურნალ“-ში, „გოლუა“-ში, „კრუა“-ში და სხვაგან დაიბეჭდა შენიშვნები იმპერატორ ვილჰელმის წერილის შესახებ, რამაც გამოიწვია ოფიციალური პროტესტი გერმანიის მთავრობის მხრივ (მარჯვენით ისმის დაცინვა და პროტესტი). ეხლა თქვენ პროტესტს აცხადებთ და მზადა ხართ უარჰყოთ სოლიდარობა თქვენივე გაზეთებთან (მემარჯვენენი ჰყვირიან: „არა, ჩვენ არაფერს არ უარვყოფთ!“), მაშ თქვენ ეხლაც მომხრენი ხართ სიცრუის სისტემისა, რომლითაც აქამდე სარგებლობდით თქვენის ინტერესებისათვის? მით უკეთესი...

მას შემდეგ, რაც საკასაციო სასამართლომ გააუქმა პირველი დადგენილება დრეიფუსის საქმის შესახებ, მას შემდეგ, რაც კინაღამ გენერალი მერსიე პასუხის გებაში არ მისცეს, ლეგენდა იმპერატორ ვილჰელმის წერილის არსებობაზე დიდის ზრუნვით და მეცადინეობით ვრცელდებოდა იმ სალონებში, სადაც აფიცრობა ტრიალებდა, და ამ გვარად რენის პროცესის მომავალი მოსამართლენი წინდაწინვე მზად იყვნენ, ბრალდებულის დანაშაული დამტკიცებულად მიეღოთ. როცა რენის პროცესი დაიწყო, ბრალდების უმთავრესი მოწმე გენერალი მერსიე ვერ ბედავდა პირდაპირ დაესახელებია იმპერატორ ვილჰელმის წერილი, სამაგიეროდ გადაკვრით ბევრს ლაპარაკობდა და ყოველ ღონეს ღონობდა ჩაეგონებია მოსამართლეებისათვის, რომ წერილი არსებობს, მაგრამ უმაღლეს სახელმწიფო მოსაზრებათა გამო მისი ჩვენება შეუძლებელია. ყველა მოსამართლეს გაუგზავნეს გაზეთ „გოლუა“-ს ის ნომერი, სადაც ამ დოკუმენტის არსებობაზე იყო ლაპარაკი. მერსიემ გაკვრით ისიც კი სთქვა სასამართლოში, რომ იმპერატორ ვილჰელმს ჩვეულება აქვს პირდაპირი მიწერ-მოწერა ჰქონდეს იმ პირებთან, რომელთაც უცხო სახელმწიფოების სამხედრო საიდუმლოების გაგება აქვთ მინდობილი. აქვე დაუმატა გენერალმა, რომ მთელის სიმართლის თქმა საჯაროდ შეუძლებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთს ომის გამოცხადება მოელისო. მერსიეს ანგარიში გამართლდა. მოსამართლეებმა გაიფიქრეს—„გენერალი იმიტომ არას ამბობს, რომ არ ჰსურს საშიშროება რამე შეემთხვას სამშობლოს; მაგრამ ის კი ცხადად გაგვაგებინა, რომ არსებობს წერილი, რომლის ხმა-მაღლა წაკითხვა შეუძლებელია. საკმარისია გავიხსენოთ ის კითხვები, რომელსაც მოსამართლეები მოწმეებს აძლევდნენ და დავრწმუნდებით, რომ ვილჰელმ მეორის წერილი დიადათ აინტერესებდა მათ. არის კიდევ უფრო პირდაპირი დამტკიცება ამ ინტერესისა. მე ხელთ მაქვს წერილი ექიმ დიუმასი, რომელსაც ლაპარაკი ჰქონია რენის ერთ მოსამართლესთან, სახელდობრ კაპიტან მერლსთან; ამ ლაპარაკით იგი დარწმუნებულა, რომ დრეიფუსის გამტყუნების საბუთი იმპერატორ ვილჰელმის წერილის ლეგენდა ყოფილა (ტორესი ჰკითხულობს დიუმას წერილს). მე დიდ მნიშვნელობას არ ვაძლევ ამ წერილს. მე მხოლოდ მსურს დავანახვო პალატას, რომ ჩვენ მოწინააღმდეგეთათვის ორი რამ იყო შესაძლებელი: ან მართლა სწამდათ იმპერატორ ვილჰელმის ნამდვილ წერილის არსებობა და მაშინ ეს პარტია გონებრივად იმდენად დაცემულა, სადამდე არც ერთი პარტია არ მისულა, ან და კარგად იცოდნენ იმ დოკუმენტის სიყალბე, რომლითაც სარგებლობდნენ და, მაშასადამე, ზნეობრივად ისე გათახსირებული ყოფილან, როგორც არც ერთი პარტია ჩვენს დრომდე.

ჩვენ, რესპუბლიკელებს ორი მოვალეობა გვაწევს: ერთი — მოვსთხოვოთ მთავრობას გამოიძიოს, თუ როგორ მოჰხდა, რომ მთავარ შტაბმა დამალა გენერალ პელიეს წერილი; მეორე—პროტესტი გამოვაცხადოთ ჩვენ მოპირდაპირეთა ურცხვ ცილის-წამების წინააღმდეგ და ვუჩვენოთ, რომ ეხლანდელი მათი უძლურება ვერ ამართლებს მათ გუშინდელ ბოროტ-მოქმედებას. თუ ჩვენ ეს არ მოვიქმედეთ, ჩვენი უმოქმედობა ისტორიას გააკვირვებს, სინიდისიერ ხალხის თვალში შეგვარცხვენს და საღ-გონიერების თავის მოჭრა იქმნება (დიდი ტაშის ცემა და მოწონება)“.

ინგლისი. როგორც ჩვენმა მკითხველმა იცის, ვულიჩში კერძო არჩევნების დროს გაიმარჯვა მუშების კანდიდატმა კრუქსმა, რომელიც თვითონ უბრალო მუშაა ხელობით. კრუქსი, როგორც მუშა, ღარიბი კაცია და თავის რჩენა მხოლოდ საკუთარის შრომით შეუძლიან; დეპუტატის თანამდებობის ასრულებას ბევრი დრო უნდა და რითი უნდა ირჩინოს თავი პარლამენტში მუშაობის დროს? მუშების „საპარლამენტო კომიტეტის“ დადგენილებით მუშა-დეპუტატს უნდა ეძლიოს პატარა ჯამაგირი თვით მუშების კასიდან. ასეთის ხარჯის გაწევა ადვილი არ არის მუშებისათვის, განსაკუთრებით მძიმე იქმნება იგი შემდეგში, როცა მუშა დეპუტატების რიცხვი იმატებს. ამიტომაც კრუქსმა წინადადება შეიტანა პარლამენტში, რომ სახელმწიფომ ჯილდო დაუნიშნოს დეპუტატს საზოგადოებრივ მოღვაწეობისათვის ისე, როგორც ეს არსებობს ინგლისის პარლამენტში. კრუქსს მხარი მისცა ლიბერალების მეთაურმა კემპბელ-ბანერმანმა, მაგრამ მთავრობის მომხრეები ყველა წინააღმდეგი იყვნენ რადიკალ-დეპუტატის წინადადებისა და პარლამენტმაც უარ-ჰყო იგი.

ინგლისის პარლამენტის ეხლანდელი წევრები თითქმის სულ შეძლებული ხალხია: ნამდვილი მუშა და გლეხი თითქმის სრულებით არ მოიძებნება. ინგლისის ახალშენის ავსტრალაზიის მაგალითი კი ამტკიცებს, რომ სახელოსნოებშიაც და გუთნის დედებ შორისაც მოიძებნება ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწეები. ავსტრალიზიას განცვიფრებაში მოჰყავს ძველი ევროპა თავის დიად და თან მეტად მოფიქრებულ კანონებით.

ბალკანეთი. გერმანიისა და ავსტრო-რუსეთის გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ ინგლისის პოლიტიკის გამო ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლორდ ლანსდოუნს ხანგრძლივი საუბარი ჰქონია ავსტრო-უნგრეთის ელჩთან. დიდ-ბრიტანიის გარეშე საქმეთა მინისტრს უნდა გამოეცხადებიოს ავსტრიის წარმომადგენლისათვის, რომ ინგლისს აქვს საკუთარი პროქტი მაკედონიის რეფორმებისა, რომელიც ბევრად უფრო რადიკალურია, ვიდრე ავსტრო-რუსეთის მიერ წარმოდგენილი. „ჩვენს პროექტს წარმოვადგენთ მაშინ, როცა ყველასათვის თვალ-საჩინო გახდება, რომ თქვენი პროექტის განხორციელება შეუძლებელი არისო... გარდა ამისა ინგლისს აქამდე იმედი ჰქონდა, რომ ავსტრია წინააღმდეგობას გაუწევდა რუსეთის განზრახვებს აღმოსავლეთში. ეხლა კი, როცა რუსეთი და ავსტრია შეთანხმებით მოქმედებენ, ინგლისი იძულებულია თვითონვე დაიცვას თავის და ევროპის ინტერესები რუსეთის წინააღმდეგ“-ო.

◆ ბერლინელ გაზეთების სიტყვით, საფრანგეთისა და ინგლისის ჟურნალ-გაზეთობა შეთანხმებით მოქმედებენ, რომ ააღელვონ საზოგადოებრივი აზრი და მღელვარება გამოიწვიონ ევროპაში მაკედონიის საქმეების გამო. მიზანი მთელ ამ აგიტაციისა ის არის, რომ ომი გამოიწვიონო. საფრანგეთის პრესა სულ იმის ცდაშია, რომ უთანხმოება ჩამოაგდოს რუსეთსა, ავსტრიასა და გერმანიას შორისო.

◆ როგორც იცის მკითხველმა, რევოლიუციონერებმა რამდენიმე ხიდი ააფეთქეს მაკედონიის რკინის გზაზე. გერმანიის ოფიციალური პრესა, რომელიც ოსმალეთის მთავრობის მეგობრობას სცდილობს თავის მთავრობის სურვილის თანახმად, ამტკიცებს, რომ ბოლგარიის სამთავროა ყველაფერში დამნაშავე, რადგან აჯანყებულები სხვაგან ვერ იშოვიდნენ ასაფეთქებელ მასალასო. „ყოველ ეჭვს გარეშე არისო, სწერს ერთი გაზეთი, რომ რევოლიუციონერებმა ბოლგარიიდან მიიღეს დინამიტი რკინის გზის ხიდების ასაფეთქებლად... დინამიტი დაურიგეს რევოლიუციონერების რაზმებს სამხედრო მინისტრის გენერალ პაპრიკოვის დროს: ყველას უნდა ახსოვდეს ამბავი ბოლგარიის არსენალიდან დიდძალ „იარაღის მოპარვისა“. საჭიროა, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ასეთ გარემოებას და ეცადონ, რომ ისინი არ განმეორდნენ“.

შეიძლება მართალიც იყოს, რასაც გერმანული ოფიციალური გაზეთი ამბობს; შეიძლება, ბოლგარიის სამხედრო მინისტრი პაპრიკოვი სამხედრო იარაღსა და მასალას აძლევდა მაკედონელ რევოლიუციონერებს; მაგრამ, ვინ გაამტყუნებს ამაში ბოლგარელ პოლიტიკურ მოღვაწეს? მაკედონელები ხომ მისი ძმები არიან, რომელნიც იტანჯებიან მტარვალის უღელ ქვეშ და რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ—სიკვდილი ან განთავისუფლებაო.

ჰოლანდია. ფრანგულ გაზეთ „ტან“-ის კორესპონდენტი იტყობინება ჰააგიდან, რომ ამსტერდამის სამრეწველო სასახლეში შესდგა დიდი კრება მუშათა კავშირებისა. კამათი ცხარე და მღელვარე ყოფილა და კრება დილის ოთხ საათზე გათავებულა. შედეგი კრების კამათის და თათბირისა ის იყო, რომ გამოცხადდა რკინის გზის ყველა მუშების საერთო გაფიცვა.

ეგრედ წოდებულ „მუშათა დაცვის კომიტეტმა“ შეატყობინა ჰოლანდიის პერიოდიულ პრესას კრების ხსენებული გადაწყვეტილება და თან განუმარტა, რომ გაფიცვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ, გარდა ყველა რკინის გზის მუშებისა, ყველა სატრანსპორტო კანტორებში მომუშავეებმაც. ამ გვარად უნდა შეჩერდეს არა მარტო მატარებლების მოძრაობა, არამედ გემებისაც.

რკინის გზის ლიანდაგებზე, სადგურებზე და სავაჭრო ნაპირებზე სამხედრო რაზმები დგას.

რკინის გზების ადმინისტრაცია ბევრსა სცდილობს, რომ მატარებლების მიმოსვლა არ შეჩერდეს.

მუშების გაფიცვის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ჰოლანდიის პარლამენტში წარადგინეს კანონ-პროექტი, რომელმაც უნდა შეჰკვეცოს მუშათა გაფიცვის თავისუფლება. მაგრამ ამასთან გაფიცვის მიზეზი ისიც არის, რომ მუშები ეხლანდელ ქირას არ კმაყოფილდებიან და მომატებას თხოულობენ. მუშათათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს უთქვამს, რომ გაფიცვა გავრცელდება სხვა დარგის მუშებზედაც.

ახალი ამბავი

◆ დიდის ზამთრის გამო ამ ბოლოს დროს **დასავლეთ საქართველოში** ძალიან გაძვირდა პური, სიმინდი და თივა. ფუთი სიმინდი, მაგალითად, გურიაში იყიდება 50—60 კაპ., რაჭაში—90 კ.—1 მან. თივა ონში ფუთი 1 მანეთად ფასობს.

◆ როგორც გავიგეთ, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. მელიქიშვილს მიუნდვია ბ. ნ. გოგიჩაიშვილისთვის ტფილისის გუბერნიის ცნობების შეკრება **თავად-აზნაურთა მიწათ-მფლობელობის** შესახებ.

◆ როგორც გავიგეთ, ჰფიქრობენ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთათვის მოაწყონ **წვრილი კრედიტი.** ამ საქმეს მოჰხმარდება სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ეგრედ წოდებული სასოფლო სამეურნეო თანხა.

◆ საინტენდანტო უწყებას, როგორც გვატყობინებენ, დიდ-ძალი პური შეუკვეთნია **გორის მემამულეთა სინდიკატისათვის.** ფუთი პური 1 მანეთად უნდა ჩააბაროს სინდიკატმა. ხორბალი გაწმენდილი უნდა იყოს, რისთვისაც სინდიკატის გამგეობამ გამოიწერა ხორბლის საწმენდი მანქანა.

ფელეტონი

ვნების კვირაში

ა. ჩეხოვისა

— წადი! უკვე ჰრეკენ... ჰო, მიყურე: ნუ იეშმაკებ ეკკლესიაში, თორემ ღმერთი დაგსჯის!—მითხრა ეს დედამ, სახარჯოდ მომცა შავი ფული და გაციებულ უთოთი სამზარეულოში გავარდა.

ძლიერ კარგად ვიცოდი, რომ აღსარების შემდეგ აღარ მომცემდნენ აღარც საჭმელს და აღარც სასმელს, ამიტომ, ვიდრე სახლიდან გავიდოდი, ძალად ვჭამე თეთრი პურის ყუა და ზედ დავაყოლე ორი ჭიქა წყალი. ქუჩაში ნამდვილი გაზაფხულია. ქვა-ფენილი დაფარულია აზელილ ლაფით, რომელსაც უკვე ემჩნევა ბილიკები; ბანები და ტროტუარები მშრალია, ღობის ძირში, შარშანდელ დამპალ ბალახის ქვეშიდან, თავსა ჰყოფს ნაზი მწვანე. რუებში მხიარულად მოჩუხჩუხებს აქაფებული მღვრიე წყალი და მიაქანებს ნაფოტებს, ნამჯებს და მზეუჭვრიტეს ნაჩურჩს. საით, საით მიცურავენ ეს ნაფოტები? შეიძლება რუიდან მდინარეში გადვიდენ, მდინარიდან ზღვაში, ზღვიდან ოკეანეში. მინდა წარმოვიდგინო ეს ძნელი და საშიშარი გზა, მაგრამ ჩემს ოცნებას ფრთა ეკვეცება.

მეეტლემ გაიარა. იგი მიერეკება ცხენებს და ვერც-კი ჰხედავს, უკან ორი ქუჩის ბიჭი როგორ დაჰკიდებია ეტლს. მინდოდა მეც მიმებაძნა იმათთვის, მაგრამ გამახსენდა აღსარება და ბავშვების საქციელი ცოდვად ჩავთვალე.

„საშინელ სამსჯავროსა შინა იმათ ჰკითხვენ: რისთვის ეშმაკობდით და აწუხებდით საწყალ მეეტლეს?—ვფიქრობ ჩემთვის.—ისინი დაიწყებენ თავის მართლებას; ამ დროს ავი სული სტაცებს იმათ ხელს და წაათრევს ჯოჯოხეთში. მაგრამ თუ ამ ბიჭუნებმა მშობლებს გაუგონეს და მისცეს გლახაკებს თითო კაპეიკი, თეთრი პური, მაშინ ღმერთი შეიბრალებს იმათ და შეუშვებს სამოთხეში“.

ეკკლესიის კარი-ბჭე მშრალი და განათებულია მზის სხივებით. კარებთან არავინ არის. გაუბედავად გავაღე კარები და შევედი შიგ. ოჰ, რა ბნელაა! ცოდვის გრძნობა მბოჰავს. პირველად თვალში მეჩხირება დიდი ჯვარ-ცმა; იმის იქით-აქედან არიან ღვთის-მშობელი და იოანნე ღვთის-მეტყველი. ხომლი და დარაბები შემოსილია შავის ძაძით. კანკელი მკრთალათა ბჟუტავს. მზე თითქო განძრახ უვლის შორს ეკკლესიის ფანჯრებს.

ღვთის-მშობელი და საყვარელი მოწაფე იესო ქრისტესი, გამოხატულნი გვერდზე, ჩუმად უყურებენ მაცხოვრის ტანჯვას და ვერ ამჩნევენ ჩემ იქ ყოფნას. ვგრძნობ, რომ იმათთვის მე მეტი, უცხო და უხილავი ვარ, იმიტომ რომ არ შემიძლიან უშველო იმათ არც სიტყვით და არც საქმით; იმიტომ რომ მე საზიზღარი და უსინიდისო ბავშვი ვარ, მოხერხებული მარტო ეშმაკობასა, სიბრიყვესა და ცილის წამებაში. თვალწინ წარმომიდგნენ ჩემი ნაცნობები და ყველანი წვრილმანებად, უგუნურებად, ბოროტებად და უვარგისებად მომეჩვენნენ; იმათ მცირედადაც-კი არ შეუძლიანთ შეამსუბუქონ ის ტანჯვა-მწუხარება, რომელსაც ეხლა მე ვხედავ.

ეკკლესიის მნათის თანაშემწე, მოხუცი, ჯარის კაცად ნამყოფი, პროკოფი იგნატიჩი სდგას სანთლის ყუთის უკან და წარბების წევით, წვერებზე ხელის სმით უხსნის ვიღაც ბებერს დედაკაცს:

— დღეს ცისკარი მოებმება საღამოს ლოცვას, ხოლო ხვალ დარეკავენ რვა საათზე. გაიგე, რვაზე!

მარჯვნივ, ორ განიერ სვეტ შუა და ფარდის მახლობლად ჯერს უცდიან სააღსარებონი. იმათთან ერთად უცდის ჯერს პატარა მიტკაც, რომელიც დაგლეჯილ ტანისამოსშია გამოწყობილი. ცუდად გაკრეჭილი მიტკა ყურებ ჩამოყრილი და ბრაზიანი სდგას კუთხეში. მიტკა შვილია ქვრივის, დღიურად მომუშავე დედა-კაცისა, ნასტასი. მეტად მოჩხუბარი, ავაზაკი და ტაციაა ეს მიტკა. არა ერთხელ წაურთმევია ჩემთვის კოჰები. ეხლა გაჯავრებული მათვალიერებს. მგონია, მე კი არა, ის შევა პირველი მღვდელთან. ვატყობ, რომ ვღელდები; ვცდილობ, არ ვუყურო, ბრაზი კი მომდის, რომ იმას ჩემზე ადრე ეპატიება ცოდვები.

იმის წინა სდგას ძვირფას ტანისამოსში გამოწყობილი ლამაზი ქალი. შლიაპაში გაკეთებული აქვს თეთრი ფრთა. საშინლად ღელავს და მოუთმენლად ელის ჯერს. ერთი ლოყა აღელვებისაგან თურაშაულ ვაშლივით აწითლებული აქვს.

ვუცდი ხუთ-ათ წამს... ფარდის იქიდან გამოვიდა კარგად ჩაცმული ახალგაზდა კაცი. გძელი და გამხდარი კისერი აქვს; ფეხებზე მაღალი კალოშები აცვია. კალოშების დანახვამ ოცნება გამიღვიძა. როცა გავიზრდები, მეც ვიყიდი ამისთანა კალოშებს, აუცილებლად ვიყიდი! ამ დროს ქალი შეკრთა და ფარდისკენ წავიდა. ეხლა იმისი ჯერია.

ფარდის ჩუჩრუტანებიდან სჩანს, როგორ მიდის ქალი და მუხლებზე იჩოქებს, მერე დგება და მოძღვრის წინ თავს იხრის, მოძღვარი ფარდისაკენ ზურგ შექცეული დგას. მოსჩანს იმისი თეთრი, ხუჭუჭა თმა, გულის ჯვრის ჯაჭვი და განიერი ბეჭები. პირი-სახე არა სჩანს. მღვდელმა ამოიოხრა, ქალს არ შეხედა და ჩქარ-ჩქარა იწყო ლაპარაკი თავის ქნევით. ხან აუმაღლებდა ხმას და ხან დაუწევდა. ქალი ყურს უგდებდა მორჩილივით, როგორც დამნაშავე. მოკლედ უპასუხებდა და ჩასცქეროდა იატაკს.

„რით არის ეს ქალი ცოდვიანი?—ვფიქრობ და მოწიწებით ვუცქერი იმის წყნარ, მშვიდ და ლამაზ სახეს—უფალო, შენ აპატიე შეცოდებანი! უფალო, შენ მიანიჭე ბედნიერება:“

მოძღვარი თავზე აფარებს ოლარს და ამბობს:

— და მე უღირსი მოძღვარი... ძალითა

✦ სოფლად წელს ძალიან ცოტა **აბრეშუმის თესლი** გაუტანიათ გასასყიდად. ერთ კოლოფ თესლის (6 მისხალი) ფასს 3—4 მანეთამდე აუწევია. ამის გამო ბევრნი ჩამოდიან ტფილისში და სააბრეშუმო სადგურსა და სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას სთხოვენ თესლს. როგორც გავიგეთ, სააბრეშუმო სადგურს 800 მისხლამდე თესლი კიდევ ჰქონია. მისხალს ორ აბაზად ჰყიდის (კოლოფი 2 მ. 40 კ.)

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 28 აპრილს სოხუმში ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნები** მოხდება. როგორც გამოცხადებულ სიიდან სჩანს, სოხუმში სულ 440 ამომრჩეველი ყოფილა, აქედან ქართველი 183 ია.

✦ **ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლასთან**, როგორც „ნოვ. ობ."-ს ატყობინებენ, მასწავლებელთათვის განუზრახავთ საპენსიო კასსის დაარსება.

✦ **12 აპრილს** მოხდება კრება ტფილისის გუბერნიისა და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ გორის მაზრის თავად-აზნაურთ განიზრახეს **გორში ვაჟთა გიმნაზიის დაარსება.** გორის ქალაქის რწმუნებულთ დაუდგენიათ გადაიდოს ქალაქის საშუალებიდან ყოველ წლივ 2000 მანეთი მომავალ გიმნაზიის შესანახად.

✦ **მტკვარი საგრძნობლად მატულობს.** რიყის მცხოვრებთ დიდი სიფრთხილე მართებთ; შესაძლებელია მოულოდნელად უბედურებაც მოხდეს. მადათოვის კუნძულზე წყალმა დიდ-ძალი მიწა მოჰგლიჯა და წაიღო. საგრძნობლად ზარალობენ ორთაჭალის მებაღეებიც.

✦ აღდგომის დღესასწაულების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო **საზოგადოებაში არჩევნები უნდა მოხდეს.** საბჭოს ზოგიერთ წევრის გარდა უნდა აარჩიონ სარედაქციო კომისია და საბაღოსნო სკოლის სამეურნეო კომიტეტის წევრნი.

✦ ქ. **სიღნაღში განუზრახავთ** ღარიბთათვის მზრუნველ საზოგადოების დაარსება. საზოგადოება კერძო შეწირულებას მიიღებს და შეკრებილ ფულით დახმარებას აღმოუჩენს ხელ-მოკლეთ: მიაწვდის ტანისამოსს, სურსათს და სხვას. სიღნაღის თვით-მმართველობას 300 მანეთი გადაუცია ამსაზოგადოებისათვის.

✦ ამას წინად, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, ვერაზე არსებულ **ყაზბეგის სახელობის სკოლის** სასარგებლოდ გაიმართა კონცერტი. სკოლის სასარგებლოდ ამ კონცერტიდან შემოსულა 400 მან.

✦ ტფილისის **საბაღოსნო სკოლის მოსწავლენი** დაბრუნდნენ კასპიდან, თავ. ერისთავის მამულიდან. მოსწავლეებს ჩაუყრიათ ვაზისა და ხე-ხილის ნერგები. მუშაობას აღდგომის დღესასწაულების შემდეგ განაგრძობენ.

✦ დღესასწაულების გამო **მუშაობა ქალაქის გამგეობაში** შეაჩერეს 2-დან 9 აპრილამდე.

✦ აგრონომმა ა. ი. სააკოვმა მეურნეობის მინისტრის რწმუნებულს ბ-ნ მედვედევს წარუდგინა მოხსენება **მავნე მწერის**, ეგრედ წოდებულ „მაროკოს კაბილკა"-ს შესახებ. ამ მწერს დიდი ვნება მოაქვს ნათესებისთვის ბაქოსა და განჯის გუბერნიებში. მწერი უფრო დიდ ზარალს მოიტანდა, რომ ერთგვარი ჭირი არ ანადგურებდეს. ბ-ნ სააკოვის გამოკვლევით, ვიდრე გამოიჩეკებოდეს ეს მწერი ისპობა. მიზეზი სხვა უჩინარი მწერია, რომელიც იმას უჩნდება.

✦ **რედაქციამ მიიღო შემდეგი სომხური წიგნები: 1) „მეთევზისა და თევზის ზღაპარი", პუშკინისა, თარგმ. ტერ-დავითიანცის მიერ. სურათებიანი, ღირს 10 კაპ., 2) ლექსები, გ. ბ. ტერ-დავითიანცისა, 25 კაპ., 3) „სასიმღერო ლექსები", შედგენილი ტერ-დავითიანცის მიერ. 40 კაპ.**

✦ **22 მარტს ნოვოროსისკში ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე ნესტორ კაშიბაძისა, რომელსაც ჰბრალდებოდა თავსდასხმა და გაქურდვა კავკავის გზის ზორინის სადგურის კასირისა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია კაშიბაძე და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლების ჩამორთმევა და 15 წლით კატორღაში გაგზავნა. თავდასხმის დროს კაშიბაძეს ამხანაგები ჰყოლია, მაგრამ ისეთი სიცივე ყოფილა, რომ კაშიბაძეს გარდა სხვები გზაში გაყინულან, სად. ტანნეჟნის მახლობლად.**

✦ **წარსულ კვირაში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ ზაქათალაში გაარჩია საქმე ზაქათალის საერობო დარაჯის ივანცოვისა, რომელსაც შემდეგის ბოროტ მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა: წარსულ წელს დარაჯი ივანცოვი სადღაც ყოფილა დაპატიჟებული და კარგად შექეიფიანებულა. შინ დაბრუნებისას ერთ სოფელში გაუვლია, სადაც უცაბედად ცხენიდან ქუდი ჩამოვარდნია. დარაჯს იქვე მდგომ ბავშვებისათვის დაუძახნია, ქუდი მომაწოდეთო. ბავშვებს ივანცოვის თხოვნა არ შეუსრულებიათ და ყიჟინითა და სიცილით სახლისკენ წასულან. ამაზე დარაჯი გაჯავრებულა და მათრახით ხელში გამოჰკიდებია. ბავშვები ეზოებში შემალულან. ფიცრიდზე გამოსულან უფროსები, ქალი და კაცი, და დარაჯისათვის უსაყვედურნიათ. ამაზე დარაჯს დანძღვა დაუწყია და შელაპარაკებულან, რომლის დროსაც დარაჯს რევოლვერი ამოუღია, ჯერ ჰაერში დაუცლია და შემდეგ ხალხისათვისაც უსროლია. ტყვია მოჰხვედრია ერთს მცხოვრებს და მძიმედ დაუჭრია. ამის გამო პასუხის გებაში მიცემულმა ივანცოვმა თავი დამნაშავედ არ იცნო და განაცხადა, სოფლელები ჯოხებით მიპირებდნენ ცემას და ამიტომ ვიხმარე იმათ წინააღმდეგ რევოლვერიო. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ივანცოვი და გადაუწყვეტია ყოველისავე პირად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 წლით გაგზავნა.**

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ბედი არა ჰქონიათ ქუთათურ ნოქრებს: დიდის წვალების შემდეგ, როგორც იქმნა, დაითანხმეს საბჭო, რომ კვირაობით და თორმეტ უმთავრეს უქმე დღეს სავაჭროები გაღებულიყო დილით 7-დან 8 საათამდის, დანარჩენ უქმეებში კი მთელი დღით ყოფილიყო ვაჭრობა; მაგრამ საბჭოს დადგენილება საქალაქო საქმეთა საკრებულოსთვის გადაუციათ განსახილველად. უკანასკნელს ეს დადგენილება უკანონოდ უცვნია, რადგან კვირა-დღეებში წირვის გამოსვლამდის მაღაზიების გაღება არ შეიძლებაო. რაც შეეხება დანარჩენ უქმეებში მთელის დღით ვაჭრობას, კანონის ძალით, არც ეს შეიძლება. როგორც გავიგეთ, ნოქრებს უნდათ ეს საკითხი კიდევ აღძრან საბჭოში და ითხოვონ, 12-დან - ნაშუადღევის პირველ საათამდის იქმნეს ვაჭრობა კვირაობითა და 12 უმთავრეს უქმე დღეს; დანარჩენ უქმეებში კი ძველი წესი დარჩეს, ე. ი. 12-დან საღამოს ექვს საათამდის იყოს ვაჭრობაო.

✦ საქველ-მოქმედო საზოგადოების თავმჯდომარეს ქ-ნ სმაგინისას განუზრახავს აღდგომას სადილი გაუმართოს ქუთათურ ღარიბებს ქალაქის გამგეობის დარბაზში. ამისათვის ხელის მოწერით აგროვებს ფულსა და სანოვაგეს.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობასაც ჰსურს თურმე აღდგომის წინა დღეებში სამოწყალო დაურიგოს ღარიბებს,—რასაკვირველია, თუ ფული ექმნა, რაც ძლიერ საეჭვოა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიღაც მაწანწალას ხელობად გაუხდია ღარიბებისთვის თხოვნების წერა და თითო თხოვნაზე, რომელიც რამდენისამე სიტყვისაგან შესდგება, თითო აბაზს ახდევინებს თურმე, ე. ი. ღარიბებს მონახევრედ უხდება სამოწყალოში.

✦ „საურთიერთო ნდობის საზოგადოების" წევრთა საზოგადო კრება, რომელიც 31 მარტს უნდა მომხდარიყო, წევრთა საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო, აპრილის შუა რიცხვებისათვის გადაიდო. ასეთივე ბედი ეწვია „ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების" წევრთა საზოგადო კრებას, რომელიც 30 მარტს უნდა მომხდარიყო.

✦ ქალაქის გამგეობამ სადორიის ტყე გასცა საძოვრად 340 მანეთად. თუმცა საძოვრის ამღები ვალდებულია ახალ-ნაკაფში საქონელი არ შერეკოს, მაგრამ, ვინ იცის, შესრულდება თუ არა ეს პირობა!

✦ რადგან კარგა ხანი გაივლის მანამდის, სანამ ქალაქის გამგეობა შეასრულებს საბჭოს დადგენილებას და სადორიის აგარაკში სამოსახლო და საყანე ადგილებს დაგეგმავს (ამას დაახლოვებით 2000 მანეთამდის დასჭირდება, რომლის შოვნა ქალაქისათვის ამ ჟამად შეუძლებელია), ამიტომ გამგეობამ შესაძლებლად სცნო ერთის წლით მაინც გასცეს სახნავ-სათესი ადგილები იჯარით. ადგილების ამღები ბევრი აღმოჩნდა.

✦ ორშაბათს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის ბაღის გვერდით, ცეცხლი გაუჩნდა მუნჯიევის ხის შენობას, რომელსაც გარეშემო სულ დუქნები და სახლები ერტყა, და მთლად გადაიწვა. დიდი სიმარჯვე გამოიჩინეს თვითონ მდგმურებმა და გარეშე საზოგადოებამ, თორემ მთელი ერთი უბანი გადაიწვებოდა, მით უმეტეს, რომ ცეცხლს ქარიც ხელს უწყობდა. ცეცხლის მქრობელი რაზმი კი მხოლოდ მაშინ მოვიდა, როდესაც შენობა კარგად დანაკვერცხლდა, რომ ნახშირი მაინც გადაერჩინა დაფერფლებისგან. უთუოდ ქუჩების რწყვით იყვნენ დაღალულნი რაზმის ცხენები და კაცები და მისთვის დააგვიანდათ!

✦ ქუთაისი გაიფურჩქნა და მწვანე ბაღჩად გადაიქცა, მხოლოდ ქარი და მტვერი კი გვახრჩობს; მაგრამ მალე ქალაქის შუაგულს (გიმნაზიისა, მიხეილისა, ვორონცოვისა, ტფილისისა, ქარვასლისა და პუშკინის ქუჩებს) ეღირსება მორწყვა: გამგეობის მიერ ჩამოტარებულ სიაზე 500 კაცმა მოაწერა ხელი და იკისრა ყოველ-თვიურად ათი შაურიდან 2 მანეთამდე იხადოს ქუჩების მოსარწყავად. კარგი იქმნება, სხვა ქუჩებზე მოსახლენიც ამათ მიჰბაძავდნენ.

პრესსა

ოდესის უნივერსიტეტის გამგეობას გამოუცია პროფესორის კლასოვსკის დიდად საყურადღებო წიგნაკი. ავტორი, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ წიგნაკში საუნივერსიტეტო საქმეს ეხება. დაწვრილებით განხილული აქვს სტუდენტთა არეულობის ამბები და ის ზომები, რაც მთავრობამ მიიღო წესიერების დასამყარებლად და უნივერსიტეტში სწავლის აღსადგენად. პრ. კლასოვსკის შემდეგ თავისი აზრი აქვს გამოთქმული საუნივერსიტეტო საკითხის შესახებ. სხვათა შორის ეხება სტუდენტებსაც და ამბობს, რომ დღევანდელ სტუდენტს საზოგადო განვითარება აკლია, იგი მოუმზადებელია დამოუკიდებელ მუშაობისათვისაო. ამის მიზეზად პროფესორი ასახელებს საშუალო სკოლის უვარგისობას, რაც არა ერთხელ აღნიშნა მწერლობამა და საზოგადოებამ. გიმნაზიის მოსწავლეებმა, ამბობს პროფესორი, იციან სამშობლო ენა, სამაგიეროდ სულ არ იციან ახალი ენები და ნაკლებად იცნობენ განათლებულ ერთა ლიტერატურებს. აშკარაა ამის შემდეგ, რამდენად საჭიროა გიმნაზიის გადაქმნა და სრულიად ახალს ნიადაგზე დაყენებაო.

მისითა მონიჭებულითა მოგიტევებ და შეგინდობ ცოდვებს...

ქალმა მუხლთ მოიყარა, ემბორა ჯვარს და დაბრუნდა უკან. ეხლა ორივე ლოყა ასწითლებოდა; სამაგიეროდ სახე დამშვიდებული, განათებული და გახარებული ჰქონდა.

„ეხლა ბედნიერია,—ვფიქრობდი გულში და ვუყურებდი ხან იმას და ხან მოძღვარს, რომელმაც აპატივა ცოდვები.—მაგრამ რა ბედნიერი უნდა იყოს ის ადამიანი, რომელსაც ცოდვების პატიების ნება აქვს!"

ეხლა ჯერი მიტკაზე მიდგა. ჩემში შურის გრძნობამ გაიღვიძა: მინდა ამ ავაზაკზე წინ გავვარდე ფარდას იქით... მიტკამ თვალი მოჰკრა ჩემ მოძრაობას და თავში სანთელი ჩამარტყა. მეც იმითვე ვუპასუხე და ნახევარ წამის შემდეგ გაისმა ხელის კვრა და იმისთანა ხმა, თითქოს სანთლებს ამტვრევენო... გაგვაშველეს. ჩემი მტერი თავ-ჩაღუნული გაემართა ფარდისაკენ...მუხლს არ იდრეკს, მარტოკა თავს უკრავს. ამის შემდეგ აღარაფერი დამინახავს. იმ აზრმა, რომ ამ საათში, მიტიას შემდეგ, ჩემი ჯერი იქმნება, თვალები ცეცხლით ამენთო. უეცრად ფარდის ხმა მომესმა:

— და მე უღირსი მოძღვარი...

ახლა მე გავქანდი ფარდისაკენ; ასე მეგონა, მივფრინავო... მიუახლოვდი ანალოის, რომელიც ჩემზე მაღალია; ერთ წუთს თვალწინ გამიელვა გულ-გრილ და დაღალულ მოძღვრის პირი-სახემ; ეხლა კი ვხედავ მხოლოდ იმის ცის-ფერ სარჩულიან სახელოებს, ჯვარს და ანალოის ნაპირს. ვგრძნობ მოძღვრის მოახლოვებას, სუნს შესამოსლისას; მესმის მკაცრი ხმა. ერთმა ლოყამ წვა დამიწყო. ბევრი რამ აღელვებისაგან ვერ გავიგე, მაგრამ რაც გავიგე, გარკვეული პასუხი მივე. ვიგონებ მარტოკებს, ღვთის-მშობელს და იოანნე ღვთის-მეტყველს; ჯვარ-ცმას, დედა-ჩემს და მინდა ვიწყო ტირილი, ვსთხოვო უფალს მოტევება.

— შენი სახელი?—მკითხა მოძღვარმა და თან თავზე ოლარი გადამაფარა.

როგორ მომეშვა გულზე, როგორი მხიარულება ვიგრძენი...

უკვე განვიწმინდე ცოდვებისაგან... წმინდა ვარ, ნება მაქვს შევიდე სამოთხეში! ვფიქრობ, რომ მეც ისეთივე სუნი ამდის, როგორც მოძღვრის შესამოსელს. ფარდის იქიდან გამოვდივარ, მივდივარ მთავრისაკენ და თან ვსუნავ ჩემ სახელოებს. ეკკლესიაში სიბნელეს ვეღარ ვამჩნევ, მიტკასაც გულ-გრილად ვუყურებ.

— რა გქვიან? მკითხა მოძღვარმა.

— ფედია...

— მამა შენს?

— არ ვიცი.

— რას ეძახიან სახელათ მამა შენს?

— ივანეს...

— გვარი?

გავჩუმდი.

— რამდენის წლისა ხარ?

— ცხრა წლისა...

დავბრუნდი შინ და რომ არ მენახა, როგორ ვახშმობდნენ, ფიცხლავ ჩავწექ ლოგინში და დავხუჭე თვალები. ვოცნებობდი; რა კარგია, ვფიქრობდი, მოთმინება, ტანჯვის ატანა ვიღაც იროდისა, ანუ დიოსკორისაგან. კარგია ვცხოვრობდე უდაბნოში და მოხუც სერაფიმსავით ვკვებავდე დათვებს, ვიმყოფებოდე გამოქვაბულში და ვიკვებებოდე მარტოკა ერთის სებისკვერით; ვუწყალობო ჩემი ქონება ღარიბ-ღატაკთ დ გავემგზავრო კიევისაკენ.

მესმის, როგორ ჰშლიან სუფრას სასადილო ოთახში და როგორ იკრიბებიან ვახშმის საჭმელად; როგორ მიირთმევენ სხვა-და-სხვა საჭმელებს... საკვირველად მშიან! თანახმა ვარ ავიტანო ყველა ტანჯვა, ვიცხოვრო უდაბნოში უდედოთ, ვაჭამო დათვებს ჩემის ხელით, ოღონდ კი მანამდე მაჭამონ ერთი კუპატი კომბოსტოთი!

— უფალო, გამწმიდე ცოდვებისაგან!—ვლოცულობ და თავს ვყოფ საბანში:—მფარველო ანგელოზო, დამიფარე ავის სულისაგან!

მეორე დღეს ნათელისა და წმინდის გულით გავიღვიძე. ეკკლესიისაკენ მხიარულად გავემართე, გულადად, ვგრძნობ რა ჩემ თავს საზიარებლად. მაცვია მდიდრული და ძვირფასი ფარჩის პერანგი, რომელიც ბებიას დარჩა. ეკკლესიაში ყველანი მხიარულნი და ბედნიერნი არიან. ღვთის-მშობლისა და იოანნე ღვთის-მეტყველის სახეებს ისეთი მწუხარება აღარ ეტყობათ, როგორიც გუშინ ეტყობოდათ. საზიარებლად მომზადებულთ სახეები გაბრწყინვებული აქვთ; ვგონებ, ყველამ დაივიწყა წარსული, ყველას ეპატია ცოდვები. მიტკასაც თავი დავარცხნილი აქვს და მორთულია სადღესასწაულოდ. მხიარულად ვუყურებ იმის გადაჩრულ ყურებს; მინდა შევურიგდე, გავაგებინო, რომ ყველაფერი დავივიწყე, ამიტომ ვეუბნები:

— შენ დღეს ლამაზი ხარ! თმა რომ არა გქონდეს აწეწილი და ასე ღარიბულად არ იყო ჩაცმული, ყველა იფიქრებდა, რომ დედა შენი მრეცხელი კი არა, კეთილ-შობილთაგანიაო... მოდი ჩემთან სააღდგომოთ და ვიკოჭაოთ.

მიტკა უნდოთ მიცქერის და კალთების ქვეშიდან მუშტებით მემუქრება.

გუშინდელი ქალი დღეს უფრო მშვენიერი მეჩვენება. ცის-ფერი კაბა აცვია, ძვირფასი გულის ქინძისთავი აქვს გაკეთებული. შევხაროდი იმას და ვფიქრობდი, როდესაც დიდი შევიქნები, უთუოდ ამისთანა ქალს შევირთავ მეთქი. მაგრამ მომაგონდა, რომ ცოლის შერთვა სირცხვილია, წამსვე დავიწყებას მივეცი იმაზე აზრი და გავწიე სადიაკვნოსკენ, სადაც დიაკვანი გულდასმით კითხულობდა.

ნ. და ჟ.

კლასოვსკის აზრით, უნივერსიტეტიც დიდ ცვლილებას საჭიროებს. პროფესორები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ. სტუდენტებს თავისუფლად უნდა შეეძლოთ იმ საგნების ამორჩევა, რომელთა შესწავლასაც განიზრახავენ. პროფესორი დიდი წინააღმდეგია დღევანდელ დიპლომისა. სტუდენტს მოწმობა უნდა მიეცეს, რომ ამდენი და ამდენი სემესტრი მოისმინა. ამ მოწმობამ არავითარი უფლება არ უნდა მიანიჭოს სამსახურის დროს. ეგზამენს გადაიხდიან მხოლოდ ისინი, ვისაც ჰსურს სტიპენდიის მიღება ან საზღვარგარედ წასვლა. სამეცნიერო ხარისხის დიპლომმაც არა უნდა მიანიჭოს სწავლა დამთავრებულს განსაკუთრებული უფლებანი სამსახურის დროს. ამ დიპლომს მნიშვნელობა ექმნება მხოლოდ სამხედრო ბეგრის გადახდის საქმეში. სახელმწიფო ეგზამენებისათვის უნდა დაინიშნოს უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელი კომისიები. „ასე მოწყობილი უნივერსიტეტი, ამბობს პროფესორი, მეცნიერების ტაძრად გადაიქცევა. დღეს-კი იგი დიპლომების ქარხანაა". ამასთან სტუდენტს თავისუფლება უნდა მიეცეს ცხოვრებას დააკვირდეს. ცხოვრების საქმეებში ჩაერიოს.

კლასოვსკის იდეალს უსასყიდლო სწავლება შეადგენს. ამასთან უმაღლესს სასწავლებლის კარი ყველასთვის ღია უნდა იყოს.

უნივერსიტეტში შემსვლელთა შეზღუდვა, კარის გაღება მარტო იმათთვის, ვისაც შეძლება აქვს, ჰნიშნავს დიდის ხნით რუსეთში სწავლა-განათლების შეფერხებას, იმ პაწაწა ფანჯრის აფიცვრას, რომელიც პეტრე დიდმა გააღო. რამდენი ნიჭი, ძლიერი შემოქმედებითი ნიჭი იმალება გლეხთა და მუშათა წრეებში. ნუ თუ ყველა ამათ უნდა დეეხშოთ სწავლის კარი? მაშინ ხომ უნივერსიტეტი წოდებრივი სასწავლებელი იქნება. ღარიბნი უნივერსიტეტში ყოველთვის იქნებიან, ისინი ხშირად „უნივერსიტეტის მარილს" შეადგენენ.

* * *

ყველგან მოიჯარადრეებს ემდურებიან, ყოვლის მხრიდან გაისმის მუშების ჩივილი მოიჯარადრეებზე. ხშირად ეს ვაჟბატონები სამუშაო ფასს მთელის თვეობით არ აძლევენ და დიდ გაჭირვებაში აგდებენ ოჯახითა და წვრილ-შვილით დატვირთულ მომუშავეს. აი, სხვათა შორის, რა წერილია დაბეჭდილი „ბაკ. იზვ."-ში.

ჩვენ ხუთნი ვართ. ვმსახურებდით მეპლომბეებად ბაქოს სადგურზე. თუმცა რკინის გზის სამსახურში ვითვლებით, მაგრამ ჩვენ უფროსად და ჯამაგირის მომცემად ითვლება ბ-ნი დაგკესამანსკი, რომელსაც იჯარით აქვს აღებული ვაგონების დატვირთვისა და გადატვირთვის საქმე. მოიჯარადრემ ჯამაგირად თვეში თითოს 20 მანეთი დაგვინიშნა. ამ ჯამაგირს პირველ ხანსვე ვადაზე ვერ ვიღებდით, უეჭველად მოიჯარადრე 10—15 დღეს გადააცილებდა ხოლმე. მაგრამ მალე ესეც არ გვაკმარა და, აი, ეხლა ორ თვეზე მეტია გროში არ მაგვიღია. ბ-ნი დაგკესამანსკი ყოველ დღე გვპირდებოდა ფულს, მერე ადგა და ბაქოდან სადღაც წავიდა. მივმართეთ რკინის გზის უფროსებს და გამგეობას. ბოლოს ვითხოვეთ ანგარიშის გასწორება, სამსახურიდან დათხოვნა და პასპორტების მოცემა, რადგან მშივრებს მუშაობა არ შეგვიძლიან. ზოგმა ჩვენგანმა სხვაგან იშოვა სამუშაო, მაგრამ პასპორტებს გვთხოვენ. რა უნდა ვქნათ: სამი თვეა ვერც ჯამაგირი მიგვიღია და ვერც პასპორტი...

დაბა-სოფლები

ხადმელი (რაჭა). ჩვენ რაჭველებისთანა მივიწყებული და ღვთის ანაბარაზედ გაშვებული ხალხი, მგონია, დედამიწის ზურგზედ არ მოიპოვება. ჯერ ძლივს-ძლივობით გადვურჩით გძელს და შემაწუხებელს ზამთარს: დიდმა თოვლმა, კაცისა და თითქმის უსაზრდოობამ დამის სული ამოგვაცალეს და ახლა ამავე თოვლისა და უამინდობის მიზეზით გახშირდა მეწყრები. თოვლმა ალაგ-ალაგ ისე გაგვიფუჭა გზები, რომ მისვლა-მოსვლა შეუძლებელი გახდა. დღე არ გავა ისე, რომ არ შევსთხოვოთ, ვისაც ჯერ არს, შეზოობით ვიტანჯებით და გზები გაგვიკეთეთო, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევს.

28 მარტს გლეხს ალექსანდრე მეტონიძეს, სადმელში მცხოვრებს, მიჰქონდა ურმით დუქნის საწვრილმანო ნივთები ქედის უბნისაკენ; მიმავალს უეცრად მოუწყდა გზა და თავისის ხარ-ურმიანათ ჩავარდა აზვირთებულს მდინარეს რიცეულში, სადაც დაიღრჩო გმდეც. ამ გარემოების ერთი ოქმი შეადგინეს, გაჰგზავნეს და შემდეგ თავისუფლად ამოისუნთქეს. ნუთუ ეგეთი საქმე ჩვენში ოქმის შედგენით უნდა დამთავრდეს?

სადმელელი

წვრილი ამბები

ამერიკის პრეზიდენტის ხარჯი. თუმცა პრეზიდენტი რუზველტი ძლიერ ყაირათიანი და ხელმოჭერილი კაცია, მაგრამ ამერიკელების აზრით, რუზველტი მაინც ნამეტან ბევრს ჰხარჯავს და დიდის ფუფუნებით სცხოვრობს თავის „თეთრ სახლში"-.—ასე ეძახიან პრეზიდენტის სასახლეს ვაშინგტონში.—რუზველტს წარსულ წელს ასეთი ხარჯი მოუხდენია: „თეთრ სახლის" გადაკეთებაზე—წასულა 1 მილ. მანეთი, მიმდინარე ხარჯები 120 ათასი მან., პრეზიდენტსა და იმის სახლობაზე წასულა—100 ათასი მანეთი, სულ მთელ წელიწადში—1,220,000 მანეთი. წინად კი თეთრ სახლის შენახვა წელიწადში მარტო 50 ათასი მანეთი ჯდებოდა. ამიტომ ამ ხარჯებმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვიეს ამერიკაში; ამაზე კონგრესშიაც კი გაცხარებული კამათი გაიმართა.

პრეზიდენტმა, რამწამს სასახლეში დასახლდა, თეთრი სახლის გადიდება მოინდომა და არხიტექტორს პლანის შედგენა დაავალა. ამ საქმისათვის პრეზიდენტმა 1 მილიონი მანეთი მოითხოვა; კონგრესი დიდ უარზე დადგა, მაგრამ ბოლოს მაინც დასთანხმდა და პრეზიდენტმაც თავისი საწადელი აისრულა. სასახლე გაიდიდა, მოსამსახურეებისათვის ახალი ოთახები გაამართვინა და თეთრ სახლის ოფიციალური ნაწილი და თავის სახლობის სადგომი სულ ცალ-ცალკე მოაწყო.

წინად საჭმელ-სასმელს გარდა, თეთრის სახლის შენახვა წელიწადში მარტო 50 ათას მანეთად ჯდებოდა, ეხლა კი სახლის გადიდებისა და მოსამსახურეების მომატების გამო, 120 ათასი მანეთი დასჭირდება. რუზველტსაც ხომ დიდი სახლობა ჰყავს. ამას გარდა, პრეზიდენტს დიდძალი ნაცნობი ჰყავს ევროპიელებში. პრეზიდენტის ოფიციალური სადილები, როგორც დიპლომატები ირწმუნებიან, ევროპის პირველ-ხარისხოვან მეფეების სადილებს არ ჩამოუვარდებიან. პრეზიდენტი და იმისი მეუღლე ამტკიცებენ, რომ 100 ათასი მანეთი მარტო სადილებზე არა გვყოფნისო.

სასახლის მოწყობაზედაც დიდი ხარჯი მოჰსვლია პრეზიდენტს, სულ ახალი ავეჯი და მოწყობილობა უყიდნია. უწინდელი უშნო სურათები ფარდულში გადაუყრევინებია. გაზის მაგიერ ელექტრონით გაუნათებია სასახლე. შესანიშნავი ახალი როიალი უყიდნია 30 ათას მანეთად. ეს როიალი სულ მთლად ოქროთია მორთული და სამ ფრთა გაშლილ არწივზე დგას; არწივებიც დაფნის ფოთლით მორთულ ოთხ-კუთხიან საფეხურებზე დგანან. რუზველტს შესანიშნავი სევრის სერვიზიც უყიდნია. სერვიზში 1,296 ნაჭერია და 50 ათას მანეთად დამჯდარა.

აი ამიტომ უჩივიან ამერიკელები რუზველტს, რომ ძლიერ ბევრ ფულს ჰხარჯავსო.

**

ჰუნგრეთში, როგორც 1900 წლის აღწერიდანა სჩანს, სცხოვრობს სულ 19,122,340 სული ქალი და კაცი. ეროვნობით ასე განაწილდებიან:

მადიარი . . .	8,679,014	სული
რუმინი . . .	2,785,262	„
გერმანელი . .	2,114,423	„
სლოვაკი . . .	2,008,744	„
ხორვატი . . .	1,667,377	„
სერბი	1,045,550	„
რუსინი . . .	427,825	„
სხვა ეროვნებისა. .	394,142	„

50 წლის წინად ჰუნგრეთში სულ 13,191,553 სული მცხოვრები იყო.

**

ბალეტი სასამართლოში. ბერლინში ბალეტის მოთამაშე-ქალს ლოი ფულლერს საჩივარი აღუძრავს მეორე მოთამაშე ქალის წინააღმდეგ. ფულლერი უჩიოდა, ეგ მოცეკვავე ერთის საცეკვაოს შესრულების დროს ჩემ მიერ გამოგონილ მანქანას ხმარობს; მე პატენტიც ავიღე და არავის შეუძლიან მანქანის მოხმარებაო. სასამართლოში მოწინააღმდეგეს უთქვამს, თვალითაც არ მინახავს მაგის მანქანაო და თავის სიმართლის დასამტკიცებლად წინადადება მიუცია მოსამართლეთათვის, აქვე ვიცეკვებ და თქვენის თვალით ჰნახავთ, რომ მანქანას არა ვხმარობო. მოსამართლენი დასთანხმებიან. ბრძანება გაუციათ და დარბაზის ერთი კუთხე საცეკვაოდ მოუწყვიათ. მოცეკვავესაც ჩაუცვამს ტრიკო და შესდგომია საქმეს. ამ უსასყიდლო წარმოდგენის შემდეგ კმაყოფილ მოსამართლეებს მოპასუხე გაუმართლებიათ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 აპრილი.

მოსკოვი. მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ ავგუსტოესის შვილებითურთ მოისმინეს წირვა.

ყაზანი მოვიდა პირველი გემი.

კონსტანტინოპოლი. ნავთსადგურის მოწყობილებანი ანატოლიის გზაზე ჰაიდარ-ფაშაში გაიხსნა.

შჩერბინას მანამდიდზე რუსეთის საელჩოს მოსაწყევრო ბარათები არ გაუგზავნია ოსმალეთის მოხელეთათვის; ოსმალეთის წარმომადგენელნი თვითონ მოვიდნენ. ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ზინოვიევთან იყო სამძიმრის გამოსაცხადებლად.

მართალი არ არის ის ამბავი, ვითომ რუსეთის ელჩს შჩერბინას მოკვლისთვის ფული მოეთხოვოს.

ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ შჩერბინას მკვლელნი ჩამოახრჩონ.

ბერლინი. „ბერლ. ტაგ."-ი იუწყება, რომ დედოფალი იძულებულია, ექიმების რჩევით, იტალიაში სამოგზაუროდ აღარ წავიდეს.

მოსკოვი. 1 აპრილს მათმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ დაათვალიერეს დარბაზები. 2 აპრილს მათმა უდიდებულესობამ და უმაღლესობამ დაათვალიერეს კრემლის ტაძრები. მათი უდიდებულესობანი თავს უკრავდნენ შეკრებილ ხალხს.

ბერლინი. დაიწყო მეცხრე საერთაშორისო კონგრესი ალკოჰოლიზმთან ბრძოლის თაობაზე.

რომი. სასოფლო-სამეურნეო საერთაშორისო მეშვიდე კონგრესმა განიხილა საკითხი სახელმწიფო შეთანხმების შესახებ ამერიკასთან სადიფერენციალო ბაჟის დადების გამო. მიიღეს წინადადება, რომლითაც საკითხი ამერიკის კონკურენციის შესახებ უნდა გადადოს მომავალ კონგრესამდე.

ვენა. ადრიანოპოლსა და მუსტაფა-ფაშაში დააპატიმრეს ბოლგარელნი. ამ ბოლგარელებმა მონაწილეობა მიიღეს მუსტაფა-ფაშასთან ხიდის აფეთქებაში და მოისურვეს იქვე სახაზინო ნავთის საწყობის აფეთქება.

3 აპრილი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ"-ში დაბეჭდილია: გარეშე საქმეთა მინისტრის უქვეშევრდომილესს მოხსენებაზე მაშკოვის ტელეგრამის შესახებ, რომელიც იუწყება მიტროვიცაში კონსულის სიკვდილს, მათმა უდიდებულესობამ საკუთარის ხელით დაწერა: „ძლიერ სამწუხაროა. შჩერბინა გმირად მოკვდა. იგი გმირულად ასრულებდა თავის მოვალეობას."

ჩერნიგოვი. როდესაც ჩერნიგოვში შჩერბინას გვამს მოასვენებენ, მას ქალაქის მონასტერში დაასაფლავებენ ყოვლად უსამღვდელოესი ისიდორე, ნოვგოროდ-სევერსკის ეპისკოპოსი, თვისის და სხვა სამღვდელოების მთელი კრებულის დახმარებით. მმართველობის დაწესებულებანი, თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი, ქალაქის მმართველობა, ყველა უწყებათა, წოდებათა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე სასწავლებლები ემზადებიან დიდის ამბით დასახვედრად. ამბობენ, რომ დასახვედრად სხვა გუბერნიებიდანაც მოვლენ. ბევრმა მლოცველთაგანმა, რომელნიც წმინდა ნაწილების თაყვანის საცემლად არიან მოსულნი, გაიგეს, რომ შჩერბინას გვამი უნდა აქ მოასვენონ, და დარჩნენ ჩერნიგოვში დასახვედრად.

ალჟირი. მოვიდა პრეზიდენტი ლუბე.

ბელგრადი. მეფის ალექსანდრეს მეფობის ათი წლის გამო აქ ბანკეტი მოხდა, რომელზედაც მეფემ სიტყვა წარმოსთქვა სერბიის ისტორიულ ბედ-იღბლის შესახებ. ის შეეხო მილანის ღვაწლსაც, სთქვა, რომ ეხლანდელი ისტორიული მომენტი დიდ მნიშვნელოვანია ყველა ბალკანეთის ერებისათვისა და სერბიის ერს კეთილდღეობა უსურვა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლის № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევს 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან მოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

ზორაპანამდე: საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წ.

გ) ბაქოდან მოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდან მოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.); 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

ზორაპანისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.)

ე) ფოთიდან მოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

განცხადებანი

კახური ღვინის საწყობი სარდაფი

„კურდღელაური"

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ ნამდვილი საუკეთესო კახური ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 20, 25 კ. და სხვა ფასად.—ვედრო 2 მ. 10 კ., თუნგი 70 კ. და მრავალ სხვა-და-სხვა ფასებათ.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ 3 ნაწილში, ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, ვაბაევის სახლში № 6.

პატივისცემით **ი. ა. ხახუტოვი.**

ქ. ტფილისში (2—1)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—16)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . .	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი. . . .	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო .	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე . .	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო . .	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ. . . .	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა .	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო .	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა .	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში .	—	15
ღვინის დაყენება პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	80
ლასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა. . . .	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва)